სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

PMCG Research

მაისი 2024

2024 წლის მაისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **157 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა **- 252 ლარი,** ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა **118 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა აპრილში **425 ლარი** შეადგინა. გურიაში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 659 ლარი შეადგინა, თბილისში - 635 ლარი, კახეთში - 478 ლარი, ხოლო აჭარაში - 344 ლარი.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2024 მაისი, ლარი)



გრაფიკი 1: 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში).

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2024 წლის მაისში, 2024 წლის აპრილთან შედარებით, 2.8%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 3.7%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 4.8%-ით შემცირდა.

2024 წლის მაისში, 2023 წლის მაისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 7.7%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 6.9%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 20.9%-ით შემცირდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2024 მაი/ 2024 აპრ	2024 მაი/ 2023 მაი	2024 მაი/ 2024 აპრ	2024 მაი/ 2023 მაი	2024 მაი/ 2024 აპრ	2024 მაი/ 2023 მაი
კახეთი	1.8%	0.7%	2.9%	3.0%	1.4%	-0.4%
იმერეთი	-1.4%	-2.4%	0.8%	-0.7%	-3.0%	-3.7%
გურია	-2.7%	-7.0%	-4.1%	-16.3%	0.0%	27.3%
ქვემო ქართლი	-	-	-	-	-	-
აჭარა	3.6%	-9.9%	4.7%	-10.2%	0.0%	-12.6%
რაჭა	12.2%	15.1%	-	-	12.2%	15.1%
შიდა ქართლი	0.7%	-0.8%	0.0%	-4.5%	0.8%	3.2%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	3.7%	-4.9%	4.6%	-5.3%	3.0%	-4.4%
სამცხე-ჯავახეთი	3.6%	-5.8%	6.9%	-2.2%	0.8%	-9.8%
მცხეთა-მთიანეთი	10.3%	-5.0%	10.3%	-3.4%	10.2%	-6.6%
თბილისი	2.1%	-8.9%	3.2%	-7.4%	-10.7%	-32.2%
სულ ფასების % ცვლილება	**2.8%**	**-7.7%**	**3.7%**	**-6.9%**	**-4.8%**	**-20.9%**

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2024 წლის მაისში, 2024 წლის აპრილის ფასებთან და 2023 წლის მაისის ფასებთან შედარებით

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.
2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.
3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.